ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. ივლისის 25. № 17 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

99. ზოგიერთ რაიონში ახალი სასოფლო საბჭოებისა დაარსების და გადარქმევის შესახებ.

100. ზოგიერთ რაიონში ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური გადაჯგუფების შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

101. სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ხუთმეტი წლის შესრულების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

102. 1935 წლის ივნის-ივლისში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მეურნეობებისა და ოთხფეხი საქონლის აღრიცხვის ჩატარების შესახებ.

103. საქართველოს სსრ-ში 1935 წლის მოსავლიდან ყურძნისა და ღვინის კონტრაქტაციის და დამზადების გეგმის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

104. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული, დედობისა და ბავშვობის დაცვის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული, დედობისა და ბავშვობის დაცვის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შესახებ.

105. ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

106. მალარიან რაიონებში ყველა დაჭაობებული ადგილის აღრიცხვისა და საქართველოს სსრ ჭაობიანობის რუკის შედგენის შესახებ.

სისხლის სამართალი.

107. ამნისტია სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ხუთმეტი წლის შესრულების აღსანიშნავად.

108. ამნისტია სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ხუთმეტი წლის შესრულების აღსანიშნავად—იმ პირთათვის, ვინც ჩაიდინეს სამხედრო ტრიბუნალების ქვემდებარე ქმედობა და სამხედრო სადისციპლინო დანაშაული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება

012.6

99. დადგენილება ც.ა.კ.

ზოგიერთ რაიონში ახალი სასოფლო საბჭოების დაარსებისა და გადარქმევის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაარსებულ იქნას ახალი სასოფლო საბჭოები და მოხდეს შემდეგი ადმინისტრატიული და ტერიტორიალური გადაჯგუფება ქვემოაღნიშნულ რაიონებში:

აღბულახის რაიონში.

1) გამოეყოს მანგლისის სასოფლო საბჭოს სოფლები: ახალსოფელი, საფუძრეები, ზირბითი და გოხნარი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ახალსოფელში.

2) აღბულახის რაიონის საღარაშენის სასოფლო საბჭოს დაერქვას არსენ ჯორჯიაშვილის სახელობის სასოფლო საბჭო, ხოლო ამ საბჭოს ცენტრს სოფელ ენაგეთს—ჯორჯიაშვილი.

ყარაიას რაიონში.

1) გამოეყოს ქესალო-ნაზარლოს სასოფლო საბჭოს სოფლები: გრიუნტალი და ულიანოვკა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ულიანოვკაში.

2) გამოიყოს ყარათაფის სასოფლო საბჭოს სოფლები: ტრაუმბერსტალი, გოფნუნსტალი და ტატიანოვკა და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით ტატიანოვკაში.

ბორჩალოს რაიონში.

გამოეყოს კიზილაჯილოს სასოფლო საბჭოს სოფელი ტრაუბერბერგი, და დაარსდეს მასში ცალკე სასოფლო საბჭო.

ადიგენის რაიონში.

1) გამოეყოს მლაშეს სასოფლო საბჭოს სოფლები: უტყის უბანი და გოდერძი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გოდერძში.

2) გამოეყოს ჭეჭლის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზედუბანი, ღორთუბანი და ოფიეთი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ზედუბანში.

3) გამოეყოს ენთელის სასოფლო საბჭოს სოფლები: ფხერო, ენთელი ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო და შოყა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ფსე-
როში.

4) გამოეყოს ადიგენის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზანავი, გომარო და ჩორჩანი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ზანავში.

5) გამოეყოს ენთელის სასოფლო საბჭოს სოფელი შოლავერი: ხოლო ვარ-ხანის სასოფლო საბჭოს სოფლები: ბენარა და უნწა, და დაარსდეს ახალი სა-სოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბენარაში.

6) გამოეყოს მარელის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზაზალო, წყისი ზედა და წყისი ქვედა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ზაზა-ლოში.

ქუთაისის რაიონში.

1) გამოეყოს დღნორისის სასოფლო საბჭოს სოფლები: საჩხეურა, ჭაშლე-ვი, ლეხიდრის თავი და ჩორთისა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენ-ტრით სოფელ საჩხეურაში.

2) გამოეყოს ქვედა სიმონეთის სასოფლო საბჭოს სოფლები: სათეშო და ბარდუბანი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით ჩხარის გზის ჯვა-რედინზე.

ბაღდადის რაიონში.

1) გამოეყოს ბაღდადის სასოფლო საბჭოს სოფლები: წაბლარის ხევი, კო-რიში და წყალთაშუა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ წყალთაშუაში.

2) გამოეყოს დიმის სასოფლო საბჭოს სოფლები: როკითი და დიდველა, და დაარსდეს ახალი საბჭო ცენტრით სოფელ როკითში.

3) გამოეყოს როხის სასოფლო საბჭოს სოფელი ვარდციხე და ვარდციხის საბჭოთა მეურნეობა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო სოფელ ვარდციხეში.

4) გამოეყოს ობჩის სასოფლო საბჭოს სოფელი II ობჩა (III და IV უბნე-ბი), და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მე-II ობჩაში.

აბაშის რაიონში.

1) გამოეყოს მარნის სასოფლო საბჭოს სოფლები: ქვიშანჭალა, თხემლარი, გაუწყინარი და I ილორი (გოგიშვილების უბნის გარდა, რომელიც დატოვებულ იქნას მარნის სასოფლო საბჭოში), და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენ-ტრით სოფელ I-ლ ილორში, ილორის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

2) გამოეყოს სუჯუნის სასოფლო საბჭოს სოფლები: გამოღმა ზანათი. შუა ზანათი და გაღმა ზანათი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სა-შუალო ადგილას, ზანათის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდის რაიონში.

გამოეყოს კორცხელის სასოფლო საბჭოს სოფელი ზედაეწერი და სოფელ ბაშის ნაწილი (50 კომლი) და რუხის სასოფლო საბჭოს სოფელ ნაწულუკუს 56 კომლი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ზედაეწერში.

ლანჩხუთის რაიონში.

1) გამოეყოს აკეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ქვედა-აკეთი, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას.

2) გამოეყოს აკეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ჭანჭათი, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას.

ჩოხატაურის რაიონში.

1) გამოეყოს ბუკისციხის სასოფლო საბჭოს სოფელი იანეული; ხოლო ერკეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ქვემო იანეული (მაიდანი), და დაარსდეს ახალი საბჭო ცენტრით იანეულში.

2) გამოეყოს ჩოხატაურის სასოფლო საბჭოს სოფელი გოგოლეისუბანი, და დაარსდეს ამ სოფელში სასოფლო საბჭო ცენტრით შუა ადგილას.

3) გამოეყოს ხიდისთავის სასოფლო საბჭოს სოფელი ბასილეთი, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას.

4) გამოეყოს ხიდისთავის სასოფლო საბჭოს სოფელი ქვენობანი, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას.

მახარაძის რაიონში.

1) გამოეყოს ლიხაურის სასოფლო საბჭოს სოფლები: ჭანიეთი, ქაქუთი და ვაშტიალის ნიწილი (22 კომლი), და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ჭანიეთში (ჩაბიასოულში).

2) გამოეყოს ოზურგეთის სასოფლო საბჭოს სოფლები: ბოხვაური, შემოქმედის სასოფლო საბჭოს—სოფელი კვირიკეთი და მახარაძის საქალაქო საბჭოს სოფლები—ლამე გაკირულა (ნაწილი), ნასათიბვარი და კვირიკეთი (ნაწილი), და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით გაკირულაში.

4) გამოეყოს მახარაძის საქალაქო საბჭოს სოფელი ექადია და ანასოულის ჩაის ინსტიტუტი, და დაარსდეს ახალი საბჭო ცენტრით ანასოულში.

ოზურგეთის სასოფლო საბჭოს ცენტრი გადატანილ იქნას ქ. მახარაძიდან სოფელ ოზურგეთში.

4) გამოეყოს მერიის სასოფლო საბჭოს სოფელი თხინვალი (106 კომლი და 585 სული), შრომის სასოფლო საბჭოს—69 კომლი და 340 სული და ნატანების სასოფლო საბჭოს—სოფელ საღვთოს ნაწილი (50 კომლი და 245 სული),

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაარსდეს ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ თხინვალში ჩაის-ფაბრიკასთან.

სამხრეთ-ოსეთის ა. ო-ში.

სტალინირის რაიონში.

1) გამოეყოს ვანეთის სასოფლო საბჭოს სოფლები: გერი, გუდისი, ნიპარეთი, შელეური, საბოლოკო, ღვრია (ჯიქი-ყაუ), წყალ-წმინდა, მარალითი და ქლარცი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გერში.

2) გამოეყოს ღრომის სასოფლო საბჭოს სოფლები: გოიათი-ყაუ, შაკათგორა, არცევი, აძვისთავი, დიდახო, გუდიათი-ყაუ, ხიზნეული, ვალითი-ყაუ, კარკითი-ყაუ, ელჯართი-ყაუ, პანტნარი, ოტრევი, ჩხარული, ნოგ-ყაუ, საბუე და იკოთი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ არცევში.

ზნაურის რაიონში.

გამოეყოს ოქონის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზნაურ-ყაუ, ახალსოფელი, ალიბარი, მუღრისი, ნაბაკევი, ნედლათი, ხუნდის უბანი, შინდარა და თიღვა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბრაუნში.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1935 წ. მაისის 10.
ტფილისი.

---

100. დადგენილება ც.ა.კ.

012.6

ზოგიერთ რაიონში ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური გადაჯგუფების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მოხდეს შემდეგი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური გადაჯგუფება ქვემოაღნიშნულ რაიონებში:

თელავის რაიონში.

გამოეყოს თელავის რაიონის ახმეტის სასოფლო საბჭოს სოფელი ხორბალო, რომელიც შეუერთდეს ამავე რაიონის ზემოალვანის სასოფლო საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუშეთის რაიონში.

გამოეყოს დუშეთის რაიონის ანანურის სასოფლო საბჭოს სოფელი დგნალი, რომელიც შეუერთდეს ამავე რაიონის ფასანაურის სასოფლო საბჭოს.

ხაშურის რაიონში.

გამოეყოს ხაშურის რაიონის ცოცხნარის სასოფლო საბჭოს სოფელი ბრილი, რომელიც შეუერთდეს ამავე რაიონის ალის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს ხაშურის რაიონის რუისის სასოფლო საბჭოს სოფელი სასირეთი, რომელიც შეუერთდება ამავე რაიონის ბრეთის სასოფლო საბჭოს.

ქუთაისის რაიონში.

სრ საქ. პრეზიდიუმის ა/წ 20 თებერვლის დადგენილების შესაცვლელად (საქ. სსრ. კან. კრ. 1935 წ. № 9 მუხ. 45), დატოვებულ იქნეს ქუთაისის რაიონის წყალტუბოს სასოფლო საბჭოში—სოფელ ჩუნეშის 30 კომლი, ამავე რაიონის ცხუნკურის სასოფლო საბჭოში—სოფელ ყუმისთავის 30 კომლი და ამავე რაიონის გოდოგანის სასოფლო საბჭოში სოფელ ნაგარეევის 10 კომლი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. მაისის 21.
ტფილისი.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

101. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

10

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ხუთმეტი წლის შესრულების შესახებ.

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ხუთმეტი წლის შესრულების აღსანიშნავად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

1. დაჯილდოვებულ იქნან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საპატიო სიგელით შემდეგი წითელი პარტიზანები, რომლებიც აქტიურად იბრძოდენ სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის:

1) ოფილა ყოჩიევი (ყოფ. წითელი პარტიზანი სარძეო-სასაქ. ფერმის გამგე),

2) ივანე ჯანიევი (ყოფ. წითელი პარტიზანი, ყორნისის კოლექტიური მეურნეობის საუკეთესო დამკვრელი),

3) რაჟდენ კოზაევი (ყოფ. წითელი პარტიზანი, ელექტროსადგურის მუშა),

4) ვასილი პეტრიაშვილი (ყოფ. წითელი პარტიზანი).

2. დაჯილდოებულ იქნან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საპატიო სიგელით კოლექტიური მეურნეობის საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საქმეში დამსახურებისათვის:

1) ეგნატე მამიევი (წუნარის კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარე),

2) სურანდო ჯიოევისა (ცონის კოლექტიური მეურნეობის საუკეთესო დამკვრელი-ქალი, მწველელი).

3) ლევან მიდოდაშვილი (არგვიდის კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარე).

4) სალომე გობოზოვისა (ზნაურის კოლექტიური მეურნეობის საუკეთესო დამკვრელი).

3. აღიძრას შუამდგომლობა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რათა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოებულ იქნან მათე ივანეს ძე სანაკოევი, ყოფილი ხელმძღვანელი პარტიზანული რაზმებისა სამხრეთ-ოსეთში, და დავით ბიძინას-ძე ფლიევი, ფრინევის კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარე.

II

1. გაცემულ იქნას სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში ასი ათასი მანეთი.

2. გამოყოფილ იქნას სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში 1935 წლის მე-III კვარტალში ორი სატვირთო და ერთი მსუბუქი ავტომანქანა.

III

განხორციელებულ იქნას 1935 წელს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში შემდეგი ღონისძიებანი კაპიტალურ დანახარჯთა სფეროში:

მრეწველობის ხაზით.

1. აღიძრას სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი, რათა 1936 წლის გეგმაში შეტანილ იქნას კუდარის ტყვია-თუთიას საბადოს მშენებლობის დაწყება (მაღარო და საფლოტაციო ფაბრიკა 7.500 ტონა კონცენტრატის ძალოვნებით).

ეთხოვოს „გლავცვეტმეტს"—უზრუნველყოს აღნიშნული მშენებლობის პროექტის შედგენა 1935 წლის მე-IV კვარტალში.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

ა) შეიტანოს 1936 წლის გეგმაში წნელისის ტალკის საწარმოს მშენებლობა და უზრუნველყოს მიმდინარე წელს სათანადო პროექტის შედგენა;

ბ) დაამთავროს 1935 წელს სატყეო კომბინატთან ზნექილი ავეჯის ცეხის მშენებლობა და ააშენოს იმავე წელიწადში საპარკო, სარანდავი და საკასრო ცეხები;

გ) შეიმუშაოს სტალინირში მექანიზებული წისქვილის აგების საკითხი;

დ) გაითვალისწინოს 1936 წლის გეგმით სამხრეთ-ოსეთში კრამიტის ქარხნის მშენებლობა 1.000.000 ცალი კრამიტის ძალოვნებით და აგრეთვე ფრისის ტუფის დამუშავება როგორც საკედლე მასალისა მშენებლობისათვის.

3. ვინაიდან სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოიპოვება სხვადასხვაგვარი სამთო სიმდიდრენი, ყოველ ლონისძიებით დაჩქარებულ იქნას საძიებლო სამუშაოები,—და მიმდინარე წელს ჩატარებულ იქნას თითბრის საბადოს ძიებლობა რაროში და ნახშირის საბადოს ძიებლობა ცონაში.

მოწყობილ იქნას ცონის საბადოდან ნახშირის ამოღება ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

გათვალსწინებულ იქნას 1936 წლის გეგმაში მრავალ ლითონთა ძიებლობა ჯირიაში, ჯომაგში, და წეისში.

ელექტროფიკაციის ხაზით.

4. ქალაქ სტალინირის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ელექტროენერგიის მხრით გათვალისწინებულ იქნას 1936 წლის გეგმაში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 600 ცხენძალის ძალოვნებით და ორი სასოფლო ჰიდროელექტრო სადგურისა 100 ცხენძალამდე ჯავისა და ლენინგორის რაიონებში.

სოფლისა და წყალთა მეურნეობის ხაზით.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) დაიწყოს 1936 წელს კეხვის სარწყავი არხის მშენებლობა 4.500 ჰექტარამდე ფართობის გამოსვლით საექსპორტო მეხილეობის განვითარებისათვის და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა გადააბას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას სტალინირისათვის მაგისტრალური არხის შხივებზე;

ბ) სამხრეთ-ოსეთში მეცხოველეობის განვითარების მიზნით ჩაატაროს ველებისა და საძოვრების შესწავლა და პასპორტიზაცია ისეთი ვარაუდით, რომ ეს მუშაობა დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს 1937 წლისა;

გ) შეიტანოს 1936 წ. გეგმაში საჯიშეების სათანადო სადგომების მშენებლობა ჯავაში და ზოოტექნიკუმისა და საცდელი საფუტკრის მშენებლობა ჯავის რაიონში;

დ) უზრუნველყოს 1936 წელს ხილეულის ახალ ნარგავთა ჩაყრა 200 ჰექტარის ფართობზე და ჩაატაროს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა მემინდვრეობისათვის განკუთვნილი წუნათის მასივის ნიადაგის შესასწავლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტის ხაზით.

6. რადგანაც რკინის გზის გაყვანას სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, აღიძრას სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა 1936 წელს ტრანსკავკასიური რკინის გზის სათავო უბნის (გორი-სტალინირი) მშენებლობის დაწყების შესახებ.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირ-გზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—შეიტანოს 1936 წლის გეგმაში სტალინირ-როკას გზატკეცილის მშენებლობა და აგრეთვე გუთა-ყუდარის გზის მშენებლობა, რომელ გზასაც ტყვია-თუთიას საბადომდე მიჰყავს.

კომუნალური და საბინაო მშენებლობის ხაზით.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—გაითვალისწინოს 1936 წლის გეგმით კაპიტალური დაბანდებანი ქალ. სტალინირის კეთილმოწყობისათვის (მოკირწყვლა, გამწვანება და სხვ. მისთ.), საბჭოთა სახლის მშენებლობის დამთავრებისათვის, ლიახვზე ხიდის მშენებლობისათვის, საადმინისტრაციო სახლების მშენებლობისათვის ჯავასა და ლენინგორში და აბანოების მშენებლობისათვის ჯავასა და ზნაურში.

კულტურული მშენებლობის ხაზით.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—გაითვალისწინოს 1936 წ. კაპიტალურ დანახარჯთა გეგმაში:

ა) ერთი სრული საშუალო სკოლის მშენებლობა სტალინირში და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა;

ბ) საშუალო სკოლის მშენებლობა ზნაურსა და ლენინგორში და არასრული საშუალო სკოლის მშენებლობა სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის 3 რაიონში;

გ) სტალინირში სტამბის მშენებლობის დამთავრება;

დ) კინოს მშენებლობა ჯავასა და ლენინგორში

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—გაითვალისწინოს 1936 წლის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმაში სტალინირში საოლქო საავადმყოფოს და ჯავაში სარაიონო საავადმყოფოს მშენებლობა.

საკურორტო მშენებლობის ხაზით.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს—გაითვალისწინოს 1936 წლის გეგმაში ჯავის სანატორიუმის მშენებლობის დამთავრება და მინერალური წყაროს ძაუ-სუარის კაპტაჟი; აგრეთვე განახორციე-

ლოს იმავე წელს კურორტ ძაუს კეთილმოწყობა და სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოები სამხრეთ-ოსეთის საკურორტო ადგილებისა და მინერალური წყაროების შესასწავლად (ედისი, ნაგუთნი და ლესა).

სრ საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდ. მოადგ. **ბ. მდივანი**

სრ საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. ივნისის 6. № 45/726.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 132 №-ში 1935 წ. ივნისის 8.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

102. დადგენილება ს.კ.ს.

1935 წლის ივნის-ივლისში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მეურნეობებისა და ოთხფეხი საქონლის აღრიცხვის ჩატარების შესახებ.

1935 წლის ივნისისათვის საქართველოს სსრ-ის მეურნეობებისა და ოთხფეხი საქონლის საერთო რიცხვის გამორკვევის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო,—„1935 წლის ივნის-ივლისში მეურნეობებისა და ოთხფეხი საქონლის აღრიცხვის ჩატარების შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 17-ის დადგენილების შესაბამისად,—ადგენს:

1. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს—სოფლად სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო აღრიცხვის ჩატარების დროს უზრუნველყოს ივნის-ივლისში:

ა) კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეთა მეურნეობებისა, ერთპიროვნული მეურნეობებისა, მუშებისა, მოსამსახურეებისა და სოფლად მცხოვრები სხვა მოსახლეობის მეურნეობების სრული აღრიცხვა, იმისდამიუხედავად, იბეგრებიან ისინი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით თუ არა;

შენიშვნა 1. სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო აღრიცხვის ჩატარების მხრით მიეკუთვნოს სოფელ-ადგილებს შემდეგი ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილები: ბაკურიანი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, ლუქსემბურგი, მანგლისი, მცხეთა, სურამი, ქობულეთი, ცაგერი, წაღვერი და შაუმიანი, სადაც საფინანსო ორგანოები მოვალენი არიან ჩაატარონ მეურნეობებისა და ოთხფეხი საქონლის მთლიანი აღრიცხვა დადგენილი ფორმების მიხედვით;

შენიშვნა 2. საგადასახადო ობიექტების აღრიცხვა დანარჩენ ქალაქებში სწარმოებს საერთო საფუძველზე, ე. ი. ასეთ ქალაქებში საფინანსო ორგანოები აღრიცხავენ დაბეგვრის ობიექტებს მხოლოდ იმ მეურნეობებში, რომელნიც იბეგრებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით;

ბ) ყველა სახისა და ხნის ოთხფეხი საქონლის სრული აღრიცხვა ყველა იმ მეურნეობაში, რომელიც აღნიშნულია 1-ლი მუხლის „ა" პუნქტში, საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით;

გ) იმ რაიონებში, სადაც სწარმოებს ოთხფეხი საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გარეკვა (თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს, ტფილისის, დუშეთის, ყაზბეგის, ყარაიას, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, მარტვილის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ლენინგორის, ხულოს, ქობულეთის, ქედის და სხვ.), საგადასახადო კომისიების გაგზავნა ოთხფეხი საქონლის სამყოფელი ადგილის მიხედვით, საქონლის აღრიცხვისათვის ამა დადგენილების მე-11 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებში დადგენილ საფუძვლებზე; კომისიები უნდა გაიგზავნოს ისეთი ვარაუდით, რომ საქონლის აღრიცხვა საზაფხულო საძოვრებზე (იალაღებზე) და სოფლად წარმოებული ასეთივე მუშაობა დამთავრდეს ერთ და იმავე დროს, რისთვისაც საგადასახადო კომისიები ვალდებული არიან დროით გაემგზავრნენ საზაფხულო საძოვრებზე;

დ) წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული საქონლის აღრიცხვა, რაც საქართველოს ფარგლებს გარეთაა (ყუბანი და სხვ).

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—ჩაატაროს იმავე ვადებზე:

ა) ოთხფეხი საქონლის სრული აღრიცხვა საბჭოთა მეურნეობებსა, კოოპ-მეურნეობებსა, მუშათა მომარაგების განყოფილებათა მეურნეობებსა, სავაჭრო და სატრანსპორტო წამოწყებებსა, დამმზადებელ და გასასუქებელ პუნქტებსა და „გლავმიასოს" კომბინატებსა და აგრეთვე ყველა დანარჩენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რომელსაც ჰყავს პროდუქტიული და მუშა-საქონელი სოფლად და ქალაქად;

ბ) კერძო მფლობელობაში მყოფი საქონლის, ნათესი ფართობების, ბაღებისა და ვენახების აღრიცხვა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში იმ სიის მიხედვით, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ.

ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მხრით გათანაბრებულია სოფელ-ადგილებთან (1-ლი მუხლის „ა" პუნქტის შენიშვნა), მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვას აწარმოებენ საფინანსო ორგანოები.

3. დაევალოს მე-2 მუხლის „ა" პუნქტში ჩამოთვლილ მეურნეობებისა, წამოწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთ, მათი პირადი პასუხისმგებლობით წარუდგინონ 1935 წ. ივნისის 5-თვის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარაიონო ან საქალაქო ინსპექტორებს ზედმიწევნითი და მათ მიერ პირადად შემოწმებული ცნობები აღნიშნული მეურნეობების კუთვნილი საქონლის რაოდენობის შესახებ 1935 წლის ივნისის 1-სთვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

გარდა ამისა, დაევალოს საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპმეურნეობების დირექტორებს-იმავე ვადაზე წარადგინონ ცნობები საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპმეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობებისა და მათი კუთვნილი საქონლის რაოდენობის შესახებ.

4. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს—ჩაატარონ თავისი საშუალებით საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმებით ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების ტერიტორიაზე კერძო მფლობელობაში მყოფი საქონლისა, ნათესი ფართობებისა, ბაღებისა და ვენახების აღრიცხვა.

5. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—უზრუნველყონ ოპერატიული ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამართველოს ორგანოების მიერ მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის ჩატარებისათვის, და გამოყონ ამ ორგანოების განკარგულებაში სააღრიცხვო კამპანიისა და აღრიცხვის მასალების დამუშავების დროისათვის ნაცადი და ტექნიკურად მომზადებული მომუშავენი და საჭირო სამიმოსვლო საშუალებანი (ნატურად და ფულად).

6. მივლინებულ და მიმაგრებულ იქნან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური რწმუნებულები სააღრიცხვო კამპანიის მსვლელობისა და აღრიცხვის შედეგების დამუშავებისათვის ხელმძღვანელობისა და კონტროლის გასაწევად.

დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—მიამაგრონ თვითეულ სასოფლო საბჭოს იმავე მიზნით სპეციალური რწმუნებული.

7. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს-ჩაატარონ ამა დადგენილების მე-6 მუხლში აღნიშნულ რწმუნებულთა მიმაგრება მათი რესპუბლიკებისა და ოლქის რაიონებსა და სასოფლო საბჭოებზე.

8. პერსონალური პასუხისმგებლობა მეურნეობებისა და საქონლის სწორი და სრული აღრიცხვისათვის დაეკისროს: საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარს და საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსს; ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში—საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსებს; რაიონებში—სარაიონო საფინანსო განყოფილებების გამგეებსა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს.

9. დაევალოს სარაიონო საფინანსო განყოფილებებს და სახალხო-სამეურ-ნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს—ჩაატარონ სასოფლო საბჭოების თავ-მჯდომარეების, მდივნების და მოანგარიშეებისა, სოფლის საგადასახადო კომისიის წევრებისა, სასოფლო საბჭოს საფინანსო სექციის წევრებისა და ფინაქტივის-ტების ინსტრუქტირება მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის ორგანიზაცი-ისა და ჩატარების ტექნიკისათვის.

10. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და სარაიონო აღმა-სრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ არა უგვიანეს 1935 წლის ივნისის 1-ისა კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო მაჩვენებელების აღრიცხვის ჟურნალე-ბით (ფ. № 1) და მეურნეობითი დავთრებით (ფ. № 2-ა და 2-ბ) ის სასოფლო საბჭოები, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ ეს ჟურნალი და დავთარი, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის ნოემბრის 20-ის დადგენილებით „1935 წლისთვის სასოფლო საბჭოებში პირვე-ლადი აღრიცხვის შესახებ“ (სსრკ კან.კრ. 1934 წ. 63 №-ი მუხ. 454). თანაც წი-ნადადება მიეცეს ყველა სასოფლო საბჭოს—გაუხსნას აღნიშნულ დავთრებში პი-რადი ანგარიში ყველა მეურნეობას და შეიტანოს შიგ ყველა საჭირო ცნობა მეურნეობების და საქონლის აღრიცხვის წარმატებით ჩატარების უზრუნველ-საყოფად.

11. საფინანსო ორგანოებისა და სასოფლო საბჭოების მიერ მეურნეობე-ბისა და საქონლის აღრიცხვის ჩატარებისათვის დადგენილ იქნას შემდეგი წესი:

ა) კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეობების განსაზოგადოებული საქონ-ლის აღრიცხვას აწარმოებენ უშუალოდ სარაიონო საფინანსო განყოფილებანი;

ბ) კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისა და საქონ-ლის აღრიცხვას აწარმოებენ სასოფლო საბჭოები სასოფლო საგადასახადო კო-მისიების დახმარებით, რომელთა შედგენილობას ამტკიცებს სარაიონო აღმა-სრულებელი კომიტეტი; აღრიცხვის სრულად და სისწორით ჩატარებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს;

გ) სასოფლო საბჭო პირველ რიგში აწარმოებს მეურნეობათა მთლიან და-კითხვას და დაკითხვის ცნობების შემოწმებას არსებულ მასალებთან (1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მასალებთან, 1935 წლის კულტგამოსაღების მასალებთან, 1935 წლის იანვრის 1-თვის საქონლის აღწერის მასალებთან და სხვ.); ჭამის შემდეგ, სასოფლო საბჭოს გადააქვს დაკითხვის ცნობები განსახილ-ველად სოფლის საბჭოს პლენუმზე აქტივთან ერთად, ამოწმებს ასეთი განხილ-ვის დროს გაკეთებულ შენიშვნებს და შეაქვს საჭირო შესწორებანი;

დ) ამის შემდეგ, სარაიონო საფინანსო განყოფილება, სპეციალური ბრი-გადების მეშვეობით, თვითეულ დასახლებულ პუნქტში აწარმოებს გამორჩევითი წესით აღრიცხვის სისრულისა და სისწორის საკონტროლო შემოწმებას, კომლე-ბის შემოვლისა და საქონლის ნატურად დათვლით; უკეთუ აღმოჩნდა მნიშვნე-

ლოვანი შეუსაბამობანი, სასოფლო საბჭო მოახდენს ხელახალ მთლიან აღრიცხვას;

ე) აღრიცხვისა და ყველა შესამოწმებელ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ სასოფლო საბჭო შეადგენს მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის შედეგების ჯამობრივ სიას და გადასცემს სარაიონო საფინანსო განყოფილებას.

12. დაევალოს სარაიონო საფინანსო განყოფილებებს—მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის საშედეგო ჯამები, მათ მიერ დამტკიცებული, გადასცენ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს არა უგვიანეს 2 დღისა ჯუმლების მიღების დღიდან.

13. დაევალოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს—სარაიონო საფინანსო განყოფილებისაგან საქონლის აღრიცხვის ჯუმლების მიღებისთანავე ჩაატარონ, სპეციალური შემმოწმებელი ბრიგადების მეშვეობით, მეურნეობათა საკონტროლო ჩამოვლა საქონლის ნატურად დათვლით, საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსაგან მიღებულ მითითებათა შესაბამისად. შემმოწმებელი ბრიგადების ხელმძღვანელნი უნდა დანიშნონ სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და საქალაქო საბჭოებმა სარაიონო და საქალაქო აქტივის შედგენილობიდან, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორის წარდგენით. ბრიგადის დანარჩენი წევრები უნდა შერჩეულ იქნან-კოლმეურნეობათა აქტივის შედგენილობიდან და საბჭოთა, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—უზრუნველყონ საკონტროლო ბრიგადები საჭირო სამიმოსვლო საშუალებით (ნატურად ან ფულად) მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის შედეგების საკონტროლო შემოწმების წარმატებით და თავის დროზე ჩასატარებლად.

14. დაწესებულ იქნას, რომ საკონტროლო შემოწმება უნდა შეეხოს უკლებლივ ყველა კოლმეურნეობას და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობას, კოოპმეურნეობას და მუშათა მომარაგების განყოფილებათა მეურნეობას.

კოლმეურნეებისა, ერთპიროვნული მეურნეებისა, მუშებისა, მოსამსახურეებისა და დანარჩენი მოსახლეობის მეურნეობათა საკონტროლო შემოვლით გარემოცულ უნდა იქნას მთელი სასოფლო საბჭო ან დასახლებული პუნქტი, ისე, რომ თვითეულ რაიონში შემოწმდეს არა ნაკლებ მეურნეობათა საერთო რიცხვის 15%-ისა.

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებს და 1 მუხლის „გ“ პუნქტში ჩამოთვლილი რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ საგაზაფხულო საძოვრების ძირითად მასივებზე საქონლის ნატურად აღრიცხვის შედეგების საკონტროლო შემოწმება.

15. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში—აღრიცხვის დამთავრებისთანავე, ჩაატარონ მეურნეობათა საკონტროლო შემოვლა საქონლის ნატურად შემოწმებისათვის, რითაც მოცულ უნდა იქნას არა ნაკლებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლთმფლობელობათა საერთო რიცხვის 20%-ისა. სახლმფლობელობათა შემოწ-ლას აწარმოებენ შემმომწმებელი ბრიგადები საქალაქო საბჭოს წევრების მეთაურობით.

16. დაწესებულ იქნას, რომ აღრიცხვის ჩატარება სასოფლო საბჭოებში საკონტროლო შემოვლის (მუხ. 14 და 15) ჩათვლით და სასოფლო საბჭოების ჯუმლების შედგენა რაიონების მიხედვით უნდა დამთავრდეს შემდეგ ვადებზე:

ყვარლის, ლაგოდეხის, ტფილისის, თიანეთის, ყაზბეგის, ყარაიას, ბაშკიჩეთის, კასპის, ბორჯომის, ხორაგოულის, ონის, ვანის, ბაღდადის, ჩხარის, ტყიბულის, აბაშის, ხობის, ფოთის, ლანჩხუთის, მახარაძის, ქვემო-სვანეთის და ზემო-სვანეთის რაიონებში . . . ივნისის 25-ს

თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს, დუშეთის, აღბულახ-მანგლისის, წალკის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, გორის, სტალინისის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის ასპინძის, ქუთაისის, სამტრედიის, ზესტაფონის, ჭიათურის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ჩოხატაურის რაიონებში და აფხაზეთის და აჭარისტანის ასს რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში ივნისის 30-ს

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს შეუდგნენ აღრიცხვის კამპანიას ისეთი ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთელი მუშაობის დამთავრება სოფლის საბჭოებში ივლისის 1-ისათვის.

17. დაწესებულ იქნას, რომ სარაიონო საფინანსო განყოფილებები და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორები საქონლის აღრიცხვის ჯამებსა და საკონტროლო შემოვლის შედეგებს მოახსენებენ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს.

18. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებს და აგრეთვე სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს-მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის რესპუბლიკანური და სარაიონო ჯამები წარადგინონ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში შემდეგ ვადებზე:

ყვარლის, ლაგოდეხის, ყარაიას, ყაზბეგის, კასპის, ადიგენის, ხორაგოულის, ხონის, ვანის, ბაღდადის, ჩხარის, ტყიბულის, ხობის, ფოთის, ლანჩხუთის მახარაძის და ქვემო-სვანეთის რაიონებმა—ივლისის 5-ს

თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს, თიანეთის, დუშეთის, ტფილისის, აღბულახ-მანგლისის, წალკის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთის, გორის, სტალინისის, ბორჯომის, ახალციხის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ჭიათურის, ზესტაფონის, ქუთაისის, სამტრედიის, ცაგერის, ონის, ამბროლაურის, აბაშის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ჩოხატაურის რაიონებმა და აფხაზეთის და აჭარისტანის ასს რესპუბლიკებმა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქმა . . . . . ივლისის 10-ს

19. საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველო, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, საქონლის აღრიცხვის წინასწარ ჯამებს წარადგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში სექტემბრის 1-თვის.

20. დაწესებულ იქნას, რომ სახელმწიფო აღრიცხვისაგან მეურნეობებისა და საქონლის გადამალვაში დამნაშავე პირნი და აგრეთვე სააღრიცხვო სამუშაოთა ცუდად ჩატარებაში დამნაშავე პირნი, უკეთუ ეს გამოიწვევს მეურნეობებისა და საქონლის არა სრულ აღრიცხვას, მიიცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, თანახმად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილებისა „არასწორე სააღრიცხვო და საანგარიშო ცნობების წარდგენისათვის და აგრეთვე სააღრიცხვო-საანგარიშო მასალების წარდგენის ფორმებისა და ვადების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი № ი, მუხ. 34).

21. აიკრძალოს სააღრიცხვო კამპანიის მთელი ვადის განმავლობაში ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოების იმ მომუშავეთა მობილიზაცია, რომელნიც ჩაბმულ იქნებიან მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის ჩატარებაში, სხვა რომელიმე საქეურნეო კამპანიისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. ივნისის 2. № 706.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 128. №-ში 1935 წ. ივნისის 3.

---

103. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში 1935 წლის მოსავლიდან ყურძნისა და ღვინის კონტრაქტაციის და დამზადების გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დატოვებულ იქნას 1935 წლისთვის ყურძნისა და ღვინის სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაცია კოლმეურნეობებში, კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეობებთან.

2. დამტკიცდეს 1935 წლის მოსავლიდან ყურძნისა და ღვინის დამზადების სახელმწიფო გეგმა შემდეგი რაოდენობით:

სამრეწველო ყურძენი და ღვინო . . . . . 27.500 ტონა
საჭმელი ყურძენი . . . . . 250 „

3. სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციის და დამზადების ჩატარება დაეკისროს:

ტექნიკური ყურძნისა—სამტრესტს, უნიონს, ცაგერისა და ამბროლაურის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ კომბინატებს.

საჭმელი ყურძნისა—საქხილბოსტანს.

4. ყურძნისა და ღვინის დამზადების რესპუბლიკანური გეგმა განაწილდეს დამმზადებლების, რაიონების და დამზადების ვადების მიხედვით, თანახმად დართული ცხრილის № 1.

5. დამტკიცდეს 1935 წელს ცალკეული რაიონების კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეობისათვის ყურძნის კონტრაქტაციით ჩაბარების შემდეგი ნორმები ერთ ჰექტარ ნაყოფისმომცემ ვენახზე (ცენტნერობით):

რაიონები	კოლმეურნეობებისათვის	კოლმეურნეებისათვის		ერთპიროვნული მეურნეობებისათვის
		ისეთ კოლმეურნეობებში, რომელთაც აქვთ განსაზოგადოებული ვენახები	ისეთ კოლმეურნეობებში, რომელთაც არა აქვთ განსაზოგადოებ. ვენახები	
I ჯგუფი—ლუქსემბურგის რაიონი . .	38	35	36	43
II ჯგუფი—ბაღდ. და აღბ. რაიონები	17	14	15	23
III ჯგუფი—ყვარლის, გურჯაანის და სიღნაღის რაიონები	16	13	14	20
IV ჯგუფი—თელავის, ბორჩალოს, ვანის, ზესტაფონის, ჩხარის, ქუთაისის და ხორაგოულის რაიონები	15	12	13	18
V ჯგუფი—ჩოხატაურის, მახარაძის და ამბროლაურის რაიონები	10	8	9	15
VI ჯგუფი—ცაგერის რაიონი . . .	8	6	7	13

6. ნება დაერთვას ზემოაღნიშნული რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს დაადიფერენცონ ერთ ჰექტარზე ჩაბარების საშუალო სარაიონო ნორმები სასოფლო საბჭოებზე და კოლექტიურ მეურნეობებზე, ხოლო ისე კი, რომ უზრუნველყოფილ იქნას დამზადების სარაიონო გეგმის მთლად აღსრულება.

7. ნება დაერთვას დამმზადებლებს მისცენ კონტრაქტანტებს ვენახების მოვლის ხარჯებისათვის ფულადი ავანსები ერთ ტონა დაკონტრაქტებულ პროდუქციაზე შემდეგი რაოდენობით: კოლმეურნეობებს—275 მან., კოლმეურნეებს—

250 მან. და ერთპიროვნულ მეურნეობებს—225 მანეთი; ავანსები გაიცეს ორ ვადაზე: ხელშეკრულების დადებისას 50% და ნაყოფის გამოსახვის მიხედვით მოსავლის პირის გამორკვევის შემდეგ დანარჩენი 50%, ხოლო არა უგვიანეს ივლისის 1-ისა.

8. დაევალოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორას გაუხსნას ძირითად დამმზადებლებს კრედიტი ყურძნის კონტრაქტაციის ავანსებისათვის შემდეგი რაოდენობით (ათას მანეთობით):

	სულ	აქედან	
		მაისში	ივნისში
სამტრესტს	5140,0	2570,0	2570,0
უნიონს	903,0	451,5	451,5
ამბროლაურის კომბინატს . . .	135,0	67,5	67,5
ცაგერის კომბინატს	75,0	37,5	37,5
საქხილბოსტანს	62,5	31,3	31,2
სულ . .	6316,0	3157,8	3157,7

9. დაევალოს ძირითად დამმზადებლებს დაასრულონ ყურძნისა და ღვინის სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციის ჩატარება არა უგვიანეს ა/წ ივნისის 20-ისა.

10. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა საქართველოში 2 დღის ვადაზე მისცეს რაიონებს ინსტრუქცია ამა დადგენილების ჩატარების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მაისის 19. № 637.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ-ში 1935 წლის მოსავლის ყურძნის დამზადებისა

(ტონობით)

	დამზადების გეგმა						დამზ. ვადები	
	კოლექტიური მეურნეობანი	კოლმეურნენი	ერთპიროვნული მეურნეობანი	სულ საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში	საბჭოთა მეურნეობანი	მთლად	სექტემბერში	მე-IV კვარტალში
„სამტრესტი"								
ბაღდადის რაიონში . . .	313	115	2362	2790	110	2900	—	2900
სიღნაღის „ . . .	24	11	1215	1250	—	1250	600	650
ყვარლის „ . . .	38	35	1377	1450	—	1450	600	850
გურჯაანის „ . . .	300	150	3625	4075	575	4650	1500	3150
ვანის „ . . .	10	270	1220	1500	—	1500	—	1500
თელავის „ . . .	57	17	1076	1150	600	1750	600	1150
ჩხარის „ . . .	72	8	2040	2120	30	2150	—	2150
ზვსტაფონის. „ . . .	780	230	3040	4050	450	4500	—	4500
ქუთაისის „ . . .	31	24	670	725	—	725	—	725
ხორაგოულის „ . . .	30	36	784	850	—	850	—	850
ჩოხატაურის „ . . .	12	—	388	400	—	400	—	400
მახარაძის „ . . .	70	130	—	200	—	200	—	200
საგარეჯოს „ . . .	—	—	—	—	150	150	—	150
ტფილისის „ . . .	—	—	—	—	100	100	—	100
ბორჩალოს „ . . .	—	—	—	—	450	450	—	450
მარტვილის „ . . .	—	—	—	—	25	25	—	25
სულ სამტრესტის ხაზით .	1737	1026	17797	20560	2490	23050	3300	19750
უნიონი								
ლუქსემბურგის რაიონი . .	1844	36	1720	3600	—	3600	—	3600
ამბროლაურის კომბინ.								
ამბროლაურის რაიონში .	30	510	—	540	10	550	—	550
ცაგერის კომბინ.								
ცაგერის რაიონში	—	—	300	300	—	300	—	300
სულ ტექნიკური ყურძენი .	3611	1572	19817	25000	2500	2750	3300	24200
„საქხილბოსტანი"								
აღბულახის რაიონში . . .	88	—	62	150	—	150	50	100
ბორჩალოს „ . . .	—	—	100	100	—	100	50	50
სულ საჭმელი ყურძენი . .	88	—	162	250	—	250	100	150

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დაცვა

104. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული დედობისა და ბავშვობის დაცვის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული, დედობისა და ბავშვობის დაცვის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 10-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული, დედობისა და ჩვილობის დაცვის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 252).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მაისის 23. № 669.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული, დედობისა და ბავშვობის დაცვის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შესახებ.

I. ინსტიტუტის მიზანი და ამოცანები.

1. დედობისა და ბავშვობის დაცვის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, წარმოადგენს-რა ჯანმრთელობის ორგანოების სამეცნიერო-პრაქტიკულ ბაზას, სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოების გეგმიანად წარმოების მეშვეობით შეისწავლის და დაამუშავებს ჩვენი ქვეყნის კულტურულ-სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებათა შესაბამისად, შემდეგ საკითხებს:

ა) დედათა, ჩყვილთა, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ;

ბ) ქალებისადა ბავშვების შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღების შესახებ;

გ) დედობისა და ბავშვობის დაცვის დაწესებულებათა ორგანიზაციისა, რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციის შესახებ.

2. დედობისა და ბავშვობის დაცვის სახელმწიფო ინსტიტუტს, არსებული იგი სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება, აქვს ამ კატეგორიის დაწესებულებათათვის მიკუთვნებული ყველა უფლება და უპირატესობა.

3. დედობისა და ბავშვობის დაცვის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის სამეცნიერო თანამშრომლებისათვის არსდება, თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 13-ის დადგენილებისა „სამეცნიერო ხარისხთა და წოდებათა შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 3, მუხ. 30), სამეცნიერო წოდება: ა) უმცროსი სამეცნიერო თანამშრომლისა; ბ) უფროსი სამეცნიერო თანამშრომლისა და გ) სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ნამდვილი წევრისა.

სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება მიეკუთვნება სამეცნიერო თანამშრომლებს აღნიშნული დადგენილების თანახმად.

4. დედობისა და ბავშვობის დაცვის სახელმწიფო ინსტიტუტი შედის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოების სისტემაში დედობისა და ბავშვობის დაცვის სამმართველოს ხაზით.

5. დედობისა და ბავშვობის დაცვის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს აქვს ბეჭედი და თავისი სახელწოდების შტამპი.

6. დედობისა და ბავშვობის სახელმწიფო-საკვლევო ინსტიტუტს ეკისრება:

ა) შეისწავლოს პედიატრიისა, პედოლოგიისა, მეანობისა, გინეკოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა საკითხები, რათა სამეცნიერო ცნობანი გამოყენებულ იქნან ქალთა და ბავშვთა მოსახლეობის გაჯანსაღებისათვის;

ბ) მოამზადოს სპეციალისტების კადრები სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობისათვის დედობისა და ბავშვობის დაცვის ხაზით;

გ) გაუწიოს სამეცნიერო ხელმძღვანელობა დედობისა და ბავშვობის დაცვის საქმის დაყენებას მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებითა და ავტონომიური ოლქითურთ;

დ) გაუწიოს სამეცნიერო ხელმძღვანელობა სამკურნალო-საპროფილაქტიკო დაწესებულებათა ორგანიზაციისა და გაფორმების საქმეს დედობისა და ბავშვობის დაცვის სფეროში;

ე) შეიმუშაოს ეპიდემიების საწინააღმდეგო ღონისძიებათა მეთოდები;

ვ) შეიმუშაოს მეცნიერულად ქალებისა და ბავშვებისათვის სამკურნალო-საპროფილაქტიკო დახმარების ორგანიზაციის საკითხები;

ზ) მოაწყოს მეცნიერულად ბავშვთა და მოზარდთა შორის საკვლევო მუშაობის დაყენების საქმე;

თ) შეიმუშაოს სააღმზრდელო-საგაჯანსაღებლო საბავშვო დაწესებულებათა და პირადი ჰიგიენის სასანიტარო-საჰიგიენო ნორმები;

ი) შეისწავლოს ბავშვთა მოსახლეობის მოძრაობა: დაბადებულობა, სიკვდილიანობა და დაავადებულობა;

კ) შეისწავლოს ქალთა შრომა და ყოფა-ცხოვრება და მეურნეობის ახალ დარგებში ქალთა შრომის შთანერგვის საკითხები;

ლ) დააყენოს მეცნიერულად რაიონებში დედობისა და ბავშვობის დაცვისათვის საჭირო მუშაობის ანგარიშისა და აღრიცხვის საქმე;

მ) უზრუნველყოს მომუშავენი სასანიტარო-საგანმანათლებლო ლიტერატურით დედობისა და ბავშვობის დაცვის საკითხებზე;

ნ) შეიმუშაოს კონკრეტული სამეცნიერო ღონისძიებანი საბაგო ასაკის ბავშვთა დაავადებისა და სიკვდილიანობის წინააღმდეგ;

ო) ხელი შეუწყოს დედობისა და ბავშვობის დაცვის ორგანოებს სამკურნალო-საალმზრდელო და საგაჯანსაღებლო დაწესებულებათა მოწყობაში (სკოლა, სანატორიუმი, სკოლა ცის ქვეშ, ბაგა, სადიეტო სასადილო, სატყეო სკოლა და სხვა მისთ.).

7. ამ ამოცანათა განსახორციელებლად დედობისა და ბავშვობის დაცვის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი:

ა) აწარმოებს სამეცნიერო-საკვლევო და საცდელ სამუშაოებს თავისი სათანადო სექტორებისა, განყოფილებებისა, ლაბორატორიებისა და კლინიკების შეშვეობით დამხმარე დაწესებულებებში და საბაზო საბავშვო დაწესებულებებში;

ბ) ატარებს საექსპედაციო მუშაობას სათანადო რაიონებში წინასწარ დასახული გეგმით;

გ) სდებს შეთანხმებას სხვადასხვა დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან დედობისა და ბავშვობის დაცვის საკითხების მეცნიერულად შემუშავების თაობაზე;

დ) სცემს სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის სამუშაოებს და აგრეთვე ეწევა მეცნიერულ ცოდნათა პოპულარიზაციას მუშათა და გლეხთა მასებს შორის დედობისა და ბავშვობის დაცვის საკითხთა გაშუქებით;

ე) ამყარებს სამეცნიერო კავშირს და გამოცდილების გაცვლა-გამოცვლას დედობისა და ბავშვობის დაცვის სამეცნიერო-საკვლევო და სამეცნიერო-პრაქტიკულ დაწესებულებებთან, როგორც სსრ კავშირის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;

ვ) აწყობს რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ყრილობებს, კონფერენციებს, სამეცნიერო კრებებს, მოხსენებებს, საჯარო ლექციებს და სხვა ისთ., და აგრეთვე მონაწილეობას იღებს რესპუბლიკანურ, საზოგადოებრივ და აერთაშორისო ყრილობებსა და კონფერენციებში დედობისა და ბავშვობის დაცვის საკითხებზე;

ზ) სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო კადრების მომზადების მიზნით არსებს თავისთან ასპირანტურას; ამასთანავე, ასპირანტებად ჩარიცხვა და მათი წავლება სწარმოებს თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ანვრის 13-ის დადგენილებისა „სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ მოუშავეთა მომზადების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 3, მუხ. 29).

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ინსტიტუტის სტრუქტურა.

8. ინსტიტუტის სტრუქტურა და მასთან არსებულ დამხმარე დაწესებულებათა რიცხვი და ხასიათი განისაზღვრება საერთოდ დადგენილი წესისამებრ.

III. ინსტიტუტის მმართველობა.

9. დედობისა და ბავშვობის დაცვის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის სათავეში დგას დირექტორი, რომელიც განაგებს ინსტიტუტის სამეცნიერო, საკვლევო და საადმინისტრაციო-სამეურნეო მუშაობას და რომელიც პასუხს აგებს, ერთმმართველობის წესისამებრ, ინსტიტუტის მთელი მუშაობისა და საფინანსო-მატერიალური სახსრისათვის.

10. ინსტიტუტის დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე: ერთი საორგანიზაციო-საადმინისტრაციო ნაწილისათვის, ხოლო მეორე—სამეცნიერო-საკვლევო ნაწილისათვის.

11. ინსტიტუტის დირექტორს და მის მოადგილეებს ჰნიშნავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი დედობისა და ბავშვობის დაცვის სამმართველოს წარდგენით.

12. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობას უწევს ინსტიტუტის ყველა სამუშაოს ამა დებულების ფარგლებში;

ბ) თავმჯდომარეობს ინსტიტუტის თათბირებსა და სამეცნიერო კონფერენციებში; ამტკიცებს მათ დადგენილებებს და ატარებს ამ დადგენილებებს ცხოვრებაში.

გ) ჰნიშნავს და გადააყენებს ინსტიტუტის თანამშრომლებს;

დ) არის ინსტიტუტის ყველა ფულადი და მატერიალური სახსრის განმკარგულებელი და პასუხს აგებს საბიუჯეტო დისციპლინის დაცვისათვის;

ე) სდებს ყოველგვარ ხელშეკრულებას და გარიგებას, რაც ინსტიტუტის ამოცანებს შეესაბამება;

ვ) ხსნის ინსტიტუტის სახელზე მიმდინარე ანგარიშებს საკრედიტო დაწესებულებებში და ხელს აწერს საამისო ჩეკებს;

ზ) უდგენს დედობისა და ბავშვობის დაცვის სამმართველოს საწარმოო-საფინანსო და თემატიურ გეგმებს და აგრეთვე ხარჯთაღრიცხვებს, სამეცნიერო-საწარმოო ანგარიშებს და სხვა მასალას;

თ) აწარმოებს ყოველგვარ ურთიერთ მიმართვას ინსტიტუტის სახელით სხვა დაწესებულებებთან და თანამდებობის პირებთან;

ი) წარმომადგენლობს ინსტიტუტის სახელით ყველა დაწესებულებაში, მათ შორის სასამართლო დაწესებულებებშიაც;

კ) აძლევს თავისი უფლებამოსილობის ფარგლებში რწმუნებულებას ინსტიტუტის თანამშრომლებს;

ლ) ანხორციელებს ინსტიტუტის საგეგმო მუშაობის აღსრულების შემოწმებას და ზემდგომი ორგანოების განკარგულებათა აღსრულების კონტროლს.

13. ინსტიტუტის სამეცნიერო-საპედაგოგიკო და საგეგმო საკითხების განსახილველად დირექტორთან არსდება სათათბირო ორგანოს სახით სამეცნიერო საბჭო, რომლის შედგენილობაშიაც შედიან: ინსტიტუტის დირექტორი, როგორც საბჭოს თავმჯდომარე, დირექტორის მოადგილენი, სექტორების გამგენი, ძირითადი განყოფილებების გამგენი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დედობისა და ბავშვობის დაცვის სამმართველოს წარმომადგენელი, ქალ. ტფილისის დედობისა და ბავშვობის დაცვის დაწესებულებათა წარმომადგენელი და ინსტიტუტის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შენიშვნა. საბჭოს სხდომაზე ცალკეული საკითხების განხილვის დროს შეიძლება მიწვეულ იქნან სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი სათათბირო ხმის უფლებით.

14. საბჭო მოიწვევა ორ თვეში ერთხელ მაინც ინსტიტუტის დირექტორის ინიციატივით ან საბჭოს წევრთა რიცხვის $^1/_3$ განცხადებით.

15. უკეთუ დირექტორსა და სამეცნიერო საბჭოს შორის შეუთანხმებლობა მოხდა, დირექტორი წარუდგენს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დედობისა და ბავშვობის დაცვის სამმართველოს, როგორც სამეცნიერო საბჭოს ოქმს, ისე თავის დასაბუთებას, რაზე არ ეთანხმება საბჭოს.

IV. ინსტიტუტის ბიუჯეტი.

16. დედობისა და ბავშვობის დაცვის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ბიუჯეტი შედგება: 1) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული სახსრისაგან და 2) ინსტიტუტის სპეციალური სახსრისაგან, რაც შეიქმნება საამისო სპეციალური დებულების წესით.

---

105. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ქალაქებისა, საკურორტო ადგილებისა და მუშათა დაბების სანიტარულად გაჯანსაღების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნას მღრღნელებთან ბრძოლის (დერატიზაციის) სავალდებულო ჩატარება ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში:

2. იმ ადგილების სიას, სადაც ჩატარებულ უნდა იქნას აღნიშნული ღონისძიება, და აგრეთვე მისი ჩატარების ვადებს განსაზღვრავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი სათანადო საქალაქო საბჭოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

3. ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები ჩაატარებენ „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების" (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 208; 1932 წ. მე-24, №-ი მუხ. 237; 1933 წ. მე-12 №-ი, მუხ. 148) თანახმად გამოცემული სავალდებულო დადგენილებების საფუძველზე.

4. სადერატიზაციო სამუშაოები ჩატარებულ უნდა იქნას საგეგმო წესით იმ ინსტრუქციის თანახმად, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

5. ეზოებისა და სადგომების (საცხოვრებელი, სასაწყობო, სავაჭრო-სამრეწველო, დაწესებულებების მიერ დაჭერილი და სხვა მისთ. სადგომების) დერატიზაციას აწარმოებს საქართველოს ავიაქიმის ოპერატიულ-განმანადგურებელი სადგური ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების მეთვალყურეობით.

6. სადერატიზაციო სამუშაოთა სასყიდელი გადახდება სადგომების დამქირავებლებს სადგომის სასარგებლო ფართობზე (გარდა ეზოებისა, ბაღებისა და უშენობო ფართობებისა), სათანადო საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დაწესებული ნიხრის მიხედვით.

საცხოვრებელ სახლებში სადერატიზაციო სამუშაოების სასყიდლის გადახდევინებას აწარმოებენ სახლთმმართველობანი, რომელნიც ახდევინებენ განაწილების კვალობაზე სადგომების დამქირავებლებს მათ ხვედრ სასყიდელს და პასუხისმგებელნი არიან ამ თანხების თავის დროზე აკრეფისათვის.

შენიშვნა. სადერატიზაციო სამუშაოთა განაკვეთის საშუალო რაოდენობა ქ. ტფილისში 1935 წლისთვის განისაზღვროს დამუშავებულ კვადრატულ მეტრზე 6,5 კაპ. წელიწადში (უკეთუ მუშაობა ჩატარებულ იქნება წელიწადში 4-ჯერ); დერატიზაციის სასყიდელი სხვა ადგილებში 1935 წელს არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნულ საშუალო განაკვეთს ვიდრე 30 პროცენტით.

7. სავაჭრო-სასაწყობო სადგომებში და საწარმოებში (ფაბრიკა, ქარხანა, სახელოსნო და სხვა მისთ.) სადერატიზაციო სამუშაოები სწარმოებს ხელშეკრულებათა საფუძველზე, რასაც დასდებენ სავალდებულო წესით საქ. ავიაქიმის ოპერატიული-გამანადგურებელი სადგური და ამ სადგომების მფლობელნი და დამქირავებელნი, ამასთანავე სადერატიზაციო სამუშაოების სასყიდელი გადაიხდება მათი შეთანხმების მიხედვით.

ამ სასყიდლის მაქსიმალურ რაოდენობას განსაზღვრავენ სათანადო საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

8. კომუნალურ საწარმოთა ნაგებობებში (კანალიზაცია და სხვა.) სადერატიზაციო სამუშაოები სწარმოებს საქ. ავიაქიმის ოპერატიულ-გამანადგურებელი სადგურს და სათანადო საქალაქო საბჭოებს შორის სავალდებულო წესით დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

შენიშვნა. საქ. ავიაქიმის ოპერატიულ-გამანადგურებელ სადგურთან დადებული სპეციალური ხელშეკრულებების საფუძველზე დასამუშავებელი ფართობების გვერდით მდებარე საცხოვრებელი სადგომებისა და საკანცელარიო ტიპის სადგომების დამქირავებლებს სადერატიზაციო სამუშაოების სასყიდელი გადახდებათ ამა დადგენილების მე-6 მუხლში აღნიშნული ტარიფების მიხედვით.

9. ჩატარებულ სადერატიზაციო სამუშაოთა სასყიდლის გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების საალსრულებო წარწერების წესისამებრ.

შენიშვნა. სადგომების სახლთმფლობელობათა დავალიანება ამა დადგენილების გამოცემამდე ჩატარებული სადერატიზაციო სამუშაოებისათვის, დავის შემთხვევაში, შეიძლება გადახდევინებულ იქნას საერთო-სასარჩელო წესით.

10. გაუქმებულ იქნას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 13-ის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების შესახებ“ შემდგომი ცვლილებით (საქ. კან. კრ. 1932 წ. მე-4 №-ი, მუხ. 42; 1933 წ. მე-2 №-ი, მუხ. 45).

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან ერთად, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესრულებისათვის.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1935 წ. მაისის 25. № 44/281.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 127 №-ში 1935 წ. ივნისის 2.

---

106. დადგენილება ს.კ.ს.

მალარიან რაიონებში ყველა დაჭაობებული ადგილის აღრიცხვისა და საქართველოს სსრ ჭაობიანობის რუკის შედგენის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1935 წლის ნოემბრის 1-თვის ჩატარებულ იქნას საქართველოს სსრ მალარიან რაიონებში ყველა დაჭაობებული ადგილის აღრიცხვა, ჯანმრთელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიატის მიერ, კომუნალური მეურნეობისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

2. ამ სამუშაოების აღსრულების ორგანიზაცია დაეკისროს კუთვნილებისამებრ საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სათანადო სამეურნეო ორგანიზაციებს, საბჭოთა მეურნეობებს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—ამ აღრიცხვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა, სამიწათმოქმედო განყოფილებებსა და სასოფლო-სამეურნეო სკოლების კარმიდამოებში მოწყობის მხრით, განათლების სახალხო კომისარიატს—სკოლების კარმიდამოებში აღრიცხვის მოწყობის მხრით, „ცეკავშირს"—კოოპერატიულ მეურნეობებში აღრიცხვის მოწყობის მხრით, ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოს და „ა/კრკინგზამშენს".

დაჭაობებული ადგილების აღრიცხვასთან დაკავშირებული სამუშაოები ჩატარებულ უნდა იქნას ზემოაღნიშნული ორგანიზაციების ძალებით და ფულადი სახსრით, საჭირო ხარჯების მათ საწარმოო-საფინანსო გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებში შეტანით.

3. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს, სამრეწველო საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს და აგრეთვე საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტების საკურორტო სამმართველოებს—შეადგინონ 1935 წ. ნოემბრის 1-მდე ქალაქებისა, სამრეწველო საწარმოთა, საბჭოთა მეურნეობებისა და კურორტების ტერიტორიაზე მდებარე ყველა წყალსატევის განწყობის გეგმა, წინასწარ ყველა წყალსატევის აღრიცხვით ინსტრუქციაში დადგენილი ფორმის მიხედვით; ამასთანავე, გეგმაზე ასახულ და აღრიცხულ უნდა იქნას აგრეთვე ის წყალსატევები, რაც მდებარეობს სამი კილომეტრის მანძილზე დასახლებული პუნქტიდან.

შენიშვნა. უკეთუ არ არსებობს ქალაქისა, საბჭოთა მეურნეობისა, სამრეწველო საწარმოს ან კურორტის დამტკიცებული გეგმა, შეიდგინება მხოლოდ სქემატური გეგმა (სასიტუაციო სქემა), ხოლო დაჭაობებული ადგილები აუცილებლად აღირიცხება.

4. დაეკისროს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს:

ა) გაუწიოს სათანადო ორგანიზაციებს სპეციალური დახმარება და კონსულტაცია დაჭაობებული ადგილების აღრიცხვისათვის საჭირო მუშაობის ყველა სტადიაში;

ბ) იქონიოს კონტროლი ამა დადგენილების თავის დროზე და სათანადოდ აღსრულებისათვის.

5. დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—შეადგინოს საქართველოს სსრ ჭაობიანობის რუკა დაჭაობებული ადგილების აღრიცხვის მასალის საფუძველზე.

6. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—გამოსცეს ერთი დეკადის ვადაზე, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქცია.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აპრილის 21. № 504.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

107. დადგენილება ც.ა.კ.

ამნისტია სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ხუთმეტი წლის შესრულების აღსანიშნავად.

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ხუთმეტი წლის შესრულების აღსანიშნავად და იმ მშრომელთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რომელთაც ჩაიდინეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დანაშაული პირველად, გაჭირვების გამო, შემთხვევით, შეუგნებლობით და რომელთაც შეუძლიათ თავიანთი მონაწილეობით სოციალისტურ მშენებლობაში გამოასწორონ საბჭოთა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანი, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ერთ წლამდე—თანჩართვით—თავისუფლების აღკვეთას მისჯილი პირნი, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის შეიარაღებული ბრძოლის მონაწილე ყოფილი წითელი პარტიზანები და წითელგვარდიელები და მცირეწლოვანი ბავშვების მყოლი და ორსული ქალები, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე, განთავისუფლებულ იქნან პატიმრობისაგან და სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებისაგან, როგორიც არის უფლებათა აყრა, განდევნა და გადასახლება, აგრეთვე დამატებითი ღონისძიებისაგან ჯარიმის და ქონების კონფისკაციის სახით, უკეთუ ეს უკანასკნელი ღონისძიება ფაქტიურად განხორციელებული არ არის ამა დადგენილების გამოქვეყნების მომენტამდე.

2. ხუთ წლამდე—თანჩართვით—თავისუფლების აღკვეთას მისჯილი და სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიების სახით იმავე ვადით გადასახლებას მისჯილი პირნი, ხოლო უფრო ძეტი ვადითაც იმავე სოციალური დაცვის ღონისძიებას მისჯილი ყოფილი წითელი პარტიზანები და წითელგვარდიელები, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ შეიარაღებულ ბრძოლაში სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, განთავისუფლებულ იქნან შეიდგომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიმრობისაგან, გადასახლებისაგან და აგრეთვე 1-ლ მუხლში აღნიშნული სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებებისაგან—სასამართლოს განაჩენით დანიშნული სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიების ერთი მესამედის მოხდის შემდეგ.

3. განთავისუფლებულ იქნან განდევნისაგან ის პირნი, რომელთაც ეს განდევნა გადაეწყვიტათ სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიების სახით, და აგრეთვე დამატებითი ღონისძიებისაგან ჯარიმისა და ქონების კონფისკაციის სახით, უკეთუ ეს უკანასკნელი ღონისძიება ფაქტიურად განხორციელებული არ არის ამა დადგენილების გამოქვეყნების მომენტამდე.

4. განთავისუფლებულ იქნან სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებისაგან განდევნის და გადასახლების სახით ის პირნი, რომელთაც მოიხადეს სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიება.

5. განთავისუფლებულ იქნან იძულებითი მუშაობისაგან და მე-3 მუხლში აღნიშნული სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებებისაგან ის პირნი, რომელთაც ეს გადაეწყვიტათ სასამართლოს წესით, აგრეთვე ის პირნი, რომელთაც დაპატიმრება შეეცვალათ იძულებითი მუშაობით; განთავისუფლებულ იქნან ისინიც, ვისაც იძულებითი მუშაობა დაენიშნა საადმინისტრაციო წესით.

6. მოეხსნათ უფლების ყოველგვარი აყრა და გასამართლეობა ერთ წლამდე—თანჩართვით—თავისუფლების აღკვეთას მისჯილ პირთ, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის შეიარაღებული ბრძოლის მონაწილე წითელ პარტიზანებს და წითელგვარდიელებს და მცირეწლოვანი ბავშვების მყოლ და ორსულ ქალებს, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე—თანჩართვით, და სხვა, უფრო მსუბუქი სოციალური დაცვის ღონისძიება მისჯილ პირთ, უკეთუ მათ მოიხადეს სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიება ან გახთავისუფლებულ არიან ვადამდე ან ამა დადგენილების ძალით, აგრეთვე პირობითად მისჯილ პირთ.

7. მოიხსნას სასამართლოს და საადმინისტრაციო წესით დადებული გადაუხდევინებელი ჯარიმები ას მანეთამდე—თანჩართვით, სატყეო წესების დარღვევისათვის დადებული ჯარიმების გარდა.

8. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოებსა და საგამომძიებლო ორგანოებში წარმოებული ყველა საქმე ისეთი დანაშაულის შესახებ, რომლისთვისაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სოციალური დაცვის ღონისძიებად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე—თანჩართვით, იძულებითი მუშაობა, ჯარიმა ას მანეთამდე ან სხვა, უფრო მსუბუქი სოციალური დაცვის ღონისძიება, აგრეთვე საქმეები სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის შესახებ მოისპოს შემდგომი წარმოებით.

9. დადგენილება ესე ვრცელდება მარტოოდენ იმ მშრომლებზე, რომელთაც ჩაიდინეს 1935 წ. ივნისის 8-მდე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დანაშაული პირველად, იმისდამიუხედავად, სად იხდიან მისჯილნი მათთვის დანიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას, უკეთუ ისინი, ამის გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, არ იხდიან სოციალური დაცვის ღონისძიებას სხვა ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის.

10. ამა დადგენილების მოქმედება არა ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც მსჯავრი დაედვათ:

ა) აქტიური მონაწილეობისათვის იმ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებსა და კონტრრევოლუციონურ ჯგუფებში, რომლებიც ისწრაფიან საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ძირის გამოთხრას ან დასუსტებას, აგრეთვე ტერორისტული აქტებისა, აფეთქებისა, ცეცხლის წაკიდებისა და მავნებლობისათვის;

ბ) იმ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. ივნისის 8-ის დადგენილებით „სახელმწიფოებრივ დანაშაულთა (კონტრრევოლუციონურ და მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ, სსრ კავშირისათვის განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა) დებულებისათვის სამშობლოს ღალატის შესახები მუხლების დამატების თაობაზე“ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 33 №-ი, მუხ. 255);

გ) ჯაშუშობისა, ბანდიტიზმისა, კონტრაბანდისა, ყალბი ფულის გაკეთებისა, არაერთჯერ ქურდობისა, მსხვილფეხა საქონლის გატაცებისა, მექრთამეობისა, გაფლანგვისა და სამსახურებრივი სიყალბის ჩადენისათვის; აგრეთვე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის;

დ) ქალის მოკვლისათვის ქალთა მონობისაგან განთავისუფლების საწინააღმდეგო მოქმედების ნიადაგზე, აგრეთვე იმ დანაშაულთა ჩადენისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 82[1],162, 167, 168 169, 170, 171, 171[1] და 181 მუხლებით, და იმ საყოფაცხოვრებო დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო დანაშაულთა დებულების მე-4 და 5 მუხლებით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართი);

ე) საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის;

ვ) იმ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებით: 1932 წ. აგვისტოს 7-ისა „სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 62 №-ი, მუხ. 360) და 1932 წ. აგვისტოს 22-ისა „სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 65 №-რი, მუხ. 375) და მეორე მუხლით სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წ. დეკემბრის 8-ის დადგენილებისა „არაკარგითვისების პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 73 №-ი. მუხ. 442).

11. მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისროს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ პროკურატურას.

სრ. საქ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1935 წ. ივნისის 7. № 46.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 132 №-ში 1935 წ. ივნისის 8.

---

108. დადგენილება ც.ა.კ.

ამნისტია სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ხუთმეტი წლის შესრულების აღსანიშნავად—იმ პირთათვის, ვინც ჩაიდინა სამხედრო ტრიბუნალების ქვემდებარე ქმედობა და სამხედრო სადისციპლინო დანაშაული.

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ხუთმეტი წლის შესრულების აღსანიშნავად ამნისტიის შესახებ 1935 წლის ივნისის 7-ის თარიღით გამოცემული დადგენილების საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 17, მუხ. 107; (გაზ. „კომუნისტი" 1935 წლ. № 132) დამატებად, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ამა ივნისის 5-ის დადგენილების (ოქმი № 9) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნას სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ტერიტორიაზე მყოფი სამხედრო ნაწილების ყველა სამხედრო მსახური მუშათა, გლეხთა და წითელი არმიის სადისციპლინო წესდების თანახმად დადებული გადასახდელისაგან.

2. განთავისუფლებულ იქნას პატიმრობისაგან ყველა სამხედრო მსახური და სხვა მშრომელი, რომელსაც სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით ან იძულებითი მუშაობა ერთ წლამდე.

3. განთავისუფლებულ იქნას პატიმრობისაგან ყველა სამხედრო მსახური და სხვა მშრომელი, რომელსაც სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლიდან სამ წლამდე—თანჩართვით—ტრიბუნალის განაჩენით გადაწყვეტილი ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ.

4. განთავისუფლებულ იქნას სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებისაგან, სხვათა შორის უფლებათა სრული ან ნაწილობრივი აყრისაგან, ყველა სამხედრო მსახური და სხვა მშრომელი, რომელსაც სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე—თანჩართვით, ან უფრო მსუბუქი სოციალური დაცვის ღონისძიება.

5. მოისპოს, წარმოების რა სტადიაშიაც უნდა იყოს, სამხედრო მსახურეთა და სხვა მშრომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახები საქმეები, უკეთუ ეს საქმეები სამხედრო ტრიბუნალს ექვემდებარება და სისხლის სამართლის კანონის სათანადო მუხლებით სოციალური დაცვის ღონისძიებად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა ვადით არა უმეტეს ერთი წლისა—თანჩართვით.

6. დადგენილება ესე ვრცელდება მარტოოდენ იმ მშრომელებზე, მათ შორის სამხედრო მსახურებზე, რომელთაც ჩაიდინეს 1935 წლ. ივნისის 8-მდე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დანაშაული პირველად, იმისდამიუხედავად, სად იხდიან მსჯავრდადებულნი მათთვის დანიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას, უკეთუ ისინი, ამის გარდა, არ იხდიან სოციალური დაცვის ღონისძიებას სხვა ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის.

7. ამა დადგენილების მოქმედება არა ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც მსჯავრი დაედვათ იმ დანაშაულისათვის, რაც აღნიშნულია, სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ხუთმეტი წლის შესრულების აღსანიშნავად ამნისტიის შესახებ 1935 წლ. ივნისის 7-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-10 მუხლში.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. ივნისის 14.
ტფილისი.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი ხაქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 33. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 2 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.

გადაეცა სტამბას 14/VI; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VII; ტირაჟი 1.800

მთავლ. რწმ. ს.—№ 3916. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 874